ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №2
2023 წლის 20 იანვარი

ქ.ზუგდიდი

„ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტობუსებით (M3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სატარიფო რეგულირების, მგზავრთა გადაყვანის მარშრუტების და მოძრაობის განრიგის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 დეკემბრის №40 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ მე-20 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება „ეკონომიკის რეგულირებად სფეროებად განსაზღვრული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში ავტობუსებით (M_3 კატეგორია) რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სატარიფო რეგულირების, მგზავრთა გადაყვანის მარშრუტების და მოძრაობის განრიგის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 დეკემბრის №40 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 06/12/2022, სარეგისტრაციო კოდი: 010250050.35.105.016651) და დადგენილების მე-2 მუხლის „ე“ პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით შემდეგი სახით:

„ე) 0-10 წლამდე ბავშვისთვის - უფასო;”

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **გიგა ფარულავა**